ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 28
22/05/2020

28-08-4-202005221630

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 29 მაისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:ზაზა ცინცაძე

1.3. დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N64-ში მდებარე N28.01.22.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობის (ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება) გასხვისების თაობაზე მერისათვის თანხმობის მიცემისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2020 წლის საპრივატიზაციო ობიექტების დამატებითი ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.4. საადვოკატო და დეტექტიური მომსახურების ბიუროს შექმნის მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩოხატაურში ჭავჭავაძის ქ.N6-ში მდებარე

შენობაში (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - 28.01.22.051) არსებული გამოთავისუფლებული 46.10 კვ.მ. ფართის, 10 წლის ვადით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა